ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის
ოქმი # 2

24. 08. 2022

ა.წ. 24 აგვისტოს თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: სამეცნიერო საბჭოს წევრები - თ.ყარალაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე), კ. თავართქილაძე, ვ.გელაძე, კ.წიქარიშვილი და ნ.ბოლაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, თამაზ ყარალაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ სხდომას 7 წევრიდან ესწრებოდა 5, შესაბამისად სხდომა უფლებამოსილი იყო დღის წესრიგში არსებული საკითხების გადასაწყვეტად. სხდომის მდივნად არჩეული იქნა ნანა ბოლაშვილი.

დღის წესრიგი: თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ თ.ყარალაშვილმა დამსწრეთ მოახსენა, რომ თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საარჩევნო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია შემდეგი კანდიდატურები:

1. ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის დასაკავებლად - მარიამ ციცაგი;
2. საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის დასაკავებლად - მარინე ბოკერია;

სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ განხილულ იქნა საკონკურსოდ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების კანდიდატთა საბუთები. გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი კანდიდატურების შესახებ. მოისმინეს თითოეული კანდიდატის ხედვა. შეკითხვები დასვეს: კ.თავართქილაძემ, ვ.გელაძემ, თ.ყარალაშვილმა, ნ.ბოლაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: თამაზ ყარალაშვილი: ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები წესრიგშია.

კუკური წიქარიშვილი: მარიამი 2007 წლიდან მუშაობს ინსტიტუტში. თავიდან ლაბორანტის სპეციალობაზე, ხოლო 2018 წლიდან უკვე უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. ძალზე პროდუქტიული მკვლევარია, გამოცემული აქვს სტატიები, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში. კარგად ფლობს თანამედროვე კვლევის მეთოდებს.

ნანა ბოლაშვილი: მარიამს სამეცნიერო მუშაობის საკმაო მდიდარი გამოცდილება აქვს. გავლილი აქვს სამეცნიერო სტაჟირებები გერმანიასა და კანადაში. მუშაობდა გორის უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში და თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიწვეულ ლექტორად და სხვ. აქვს ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება, არის დაახლოებით 8 სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, ამჟამად არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური გრანტის ხელმძღვანელი. მას აქვს გუნდური მუშაობის უნარი. ფლობს ინგლისურ ენას, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში. მის მიერ წარმოდგენილი ხედვა განყოფილების

მომავალი საქმიანობის შესახებ საინტერესოა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ეცდება მხარი დაუჭიროს მას ამ საქმიანობაში.

მან აღნიშნა, რომ მიესალმება მარიამის განყოფილების ხელმძღვანელად არჩევას.

სამეცნიერო საბჭოს წევრებმა განიხილეს მარინე ბოკერიას მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები, ასევე საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების ხედვა.

აზრი გამოთქვეს:

ვახტანგ გელაძე: მარინე ბოკერიას აქვს როგორც სამეცნიერო, ისე აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. იგი წლების განმავლობაში (1961-2006 წ.წ.) მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ასევე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პრაქტიკებს და ჩართული იყო სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტებში.

კუკური თავართქილაძე: მარინე ბოკერიას დიდი ხანია ვიცნობ, როგორც ორგანიზებულ, პასუხისმგებლიან და პროფესიონალ ქალბატონს. მივესალმები მის სურვილს უხელმძღვანელოს ინსტიტუტში საზოგადოებროვი გეოგრაფიის განყოფილებას.

ჩატარდა ღია კენჭისყრა თითოეულ კანდიდატურაზე ცალ-ცალკე.

არჩეული იქნა ხმის დამთვლელი კომისია თ.ყარალაშვილის და ვ.გელაძის შემადგენლობით.

კენჭისყრის შედეგები:

მარიამ ციცაგს ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ხმა მისცა ხუთივე წევრმა;

მარინე ბოკერიას, საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ხმა მისცა ხუთივე წევრმა;

დაადგინეს:

მარიამ ციცაგმა დაიკავოს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (7 წლის ვადით), ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა;

მარინე ბოკერიამ, დაიკავოს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (7 წლის ვადით), საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა;

ეთხოვოს დირექტორს, დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულების არჩეული ხელმძღვანელები.

თამაზ ყარალაშვილი
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

ნანა ბოლაშვილი
სხდომის მდივანი